# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროგრამების კატალოგი
2023

მოგესალმებით,

ჩვენი გუნდი მუდმივად იკვლევს შრომის ბაზარს, ამყარებს საქმიან ურთიერთობას და მჭიდროდ თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებელთან, ინტენსიურად ახორციელებს აპლიკანტების, პროფესიული სტუდენტების და მსმენელების გამოკითხვას, რაც ქმნის ნათელ სურათს დაინტერესებული პირების წარმოდგენაზე თანამედროვე სწავლებისა და სწავლის, ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების, გამართული სტუდენტური სერვისების, სწავლის ხარისხთან  დაკავშირებული სხვადასხვა კომპონენტის მდგრადობის შესახებ.

ჩვენი ძალისხმევა სტუდენტზე/მსმენელზე, ჯანსაღი და განათლებული თაობების აღზრდაზეა ორიენტირებული. მაგრამ, ამასთან, ჩვენი ყურადღება მიმართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური დ2ა ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ განვითარებაზე, მათთვის შესაფერისი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნაზე.



პატივისცემით,

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორი
ნესტან  აბსავა

- მისია-შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მსურველებს შესთავაზოს მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის განვითარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადებას. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან პარტნიორობით ხელი შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

- ხედვა-კოლეჯის ხედვაა 2030 წლისთვის გახდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პროფესიული განათლების მიმწოდებელი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რეგიონის მუნიციპალიტეტთან, ბიზნეს-სექტორთან აქტიური თანამშრომლობით დაინტერესებულ პირებს მუდმივად შესთავაზებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს(მათ შორის მომზადება-გადამზადების პროგრამებსაც), რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულთა წარმატებულ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას.
- ღირებულებები-საკუთარი მიისიდან გამომდინარე , 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელებისას კოლეჯი მოქმედებს შემდეგი ღირებულებებზე დაყრდნობით :
- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- აზრის თავისუფლება;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- თანამშრომლობა/გუნდური მუშაობა.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გაფორმებულია მემორანდუმები/ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან:

# კოლეჯის პერსონალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს საკუთარი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამისათვის მუდმივად ტარდება ტრენინგები, ვორქშოპები როგორც კოლეჯის შიდა რესურსის გამოყენებით, ისე მოწვეული ტრენინგების ჩართულობით, მუდმივად ვმონაწილეობთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებში.

ჩვენი პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან პროფესიონალები, რომლებიც რეგიონში სარგებლობენ მაღალი რეპუტაციით და აქვთ მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება.

პერსონალის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე.

# სტუდენტთა / მსმენელთა მომსახურება

დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებს/მსმენელებს შეუზღუდავად შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და კონსულტაცია რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, შეფასების საორგანიზაციო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კოლეჯი საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, შეფასების შედეგების შესახებ და სხვ.

**საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართოთ კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს.**

# სასწავლო გარემო



ჩვენთან დაგხვდებათ სასიამოვნო და კომფორტული სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, კომპიუტერებით, პროექტორებით, მონოტორით, ინტერნეტით, პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით.

# ჩვენს კოლეჯში ხორციელდება:

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

- აღმზრდელი
- ბუღალტრული აღრიცხვა
- საოფისე საქმე

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და იღებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.**

**კოლეჯი აპირებს მოიპოვოს განხორციელების უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

- ფრჩხილის მომსახურება
- ინფორმაციის ტექოლოგია

**მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები :**

- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- ადრეული განვითარების სპეციალისტი
- ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება

**პროფესიული მომზადების/გადამზადების მოკლევადიან პროგრამები დადასტურებულია სახელმწიფოს მიერ და გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი და მისი დანართი.**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-ბუღალტრული აღრიცხვა

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ჯაბა კილასონია

**დონე :** მეხუთე

**მისანიჭებელი კვალიფიკცია:** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა : ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 99 კრედიტი; ხანგრძლივობა - 74 კვირა

**არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 129 კრედიტი; ხანგრძლივობა - 98 კვირა;

**დაშვების წინაპირობა:** საშუალო განათლება

**პროგრამის მიზანია** ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

**დასაქმების სფერო** ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

**ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი**: 69, 69.20.1

**დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)** კოდი: 3313

# პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- სამუშაო ფორმების(სააღრიცხვოდოკუმენტები) შევსება და არგუმენტირება;
- ბუღალტრული ოპერაციების წარმოება;
- დეკლარაციების შევსება და გაგზავნა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე კონტროლის წარმოება
- მმართველობითი აღრიცხვის წარმოება;
- ეკონომიკური ანალიზის შესრულება.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-საოფისე საქმე

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ნინო გადელია

**დონე :** მეოთხე

**მისანიჭებელი კვალიფიკცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა : ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 59 კრედიტი;  ხანგრძლივობა - 46 კვირა

**არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 89 კრედიტი;  ხანგრძლივობა - 70 კვირა;

**დაშვების წინაპირობა:** საშუალო განათლება

**პროგრამის მიზანია:** მოამზადოს კვალიფიციური ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას;

**დასაქმების სფერო** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს: დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკად.

**პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:**

- დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
- მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში
- აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
- მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
- მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
- კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას
- უზრუნველჰყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

# პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ; ზუგდიდი გამსახურდიას გამზირი N 45

ა(ა)იპ საუნჯე ; ზუგდიდი რუსთაველის ქ N 52 პირველი სართული.

.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-აღმზრდელი

**პროგრამის ხელმძღვანელი:** დარეჯან ფიფია

**დონე :** მეხუთე

**მისანიჭებელი კვალიფიკცია:** მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა : ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 116 კრედიტი; ხანგრძლივობა - 88 კვირა

**არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 146 კრედიტი; ხანგრძლივობა - 112 კვირა;

**დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანია:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან , ადრეულ და სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან.სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

**დასაქმების სფერო :** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ამღზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

**პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:**

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მრავალფეროვანი ,მასტიმურილებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობები სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

# პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე:

1. ინდ.მეწარმე მათე კიკალიშვილი . ზუგდიდი, სოხუმის N 157
2. N 10 საბავშვო ბაღი .ზუგდიდი რუსთაველის N 177
3. N 16 საბავშვო ბაღი .ზუგდიდი დეკაბრისტების N 15 .

# პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და იღებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

# პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

არსებობს **განმავითარებელი** და **განმსაზღვრელი** შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და **უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:**

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში ან პროგრამის დასრულებამდე. ხოლო წინაპირობის მქონე მოდულების შემთხვევაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდებაგანმცხადებელს);
- არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს) ან/და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას ;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ასლი ან/და მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- უცხოეთშიმიღებულიგანათლების შემთხვევაში განათლების აღიარებისდოკუმენტი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი 3x4;

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ )და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, შენობაში შესასვლელად არის პანდუსი. სველი წერტილები ადაპტირებულია, სასწავლო
და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ადგილებში გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირთათვის არ იზღუდება.

შეზღუდული შესაძლებლობისა ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

# მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები

**პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:** Electronic Accounting;

**პროგრამის სახე:** პროფესიული მომზადება

**განხორციელების ენა:** ქართული

**სფერო:** 041 - ბიზნესი და ადმინისტრირება

**კვალიფიკაციის დონე:** 4 - პროფესიული მომზადება

**პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 10

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 20

**მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:** 12

**მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 12

**მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 5

**დაშვების წიაპირობა :** სრული ზოგადი გაათლება

**აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:** გასაუბრება.

**პროგრამის აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი შეისწავლოს ელექტრონული ბუღალტერია , გაიუმჯობესოს პრაქტიკული უნარები და გახდეს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი
შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაზე სწავლება განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობაშეადგენს 200 საათს, კვირაში 20 აკადემიური საათის დატვირთვით.
სასწავლო პროცესი განხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის AB სასწავლო გარემოში . მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე10 კვირას.

**პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:**

- ბუღალტრის პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა;
- ბუღალტრის პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება;
- პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში;
- კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა

# მოკლევადიანი მომზადების პროგრამა- მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმეტების მომზადება

პროგრამის სახელწოდება ინგლისურად: Preparation of management and information documents;

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

განხორციელების ენა: ქართული

სფერო: 041 - ბიზნესი და ადმინისტრირება

კვალიფიკაციის დონე: მეოთხე

პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 11

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16

მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: 12

მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში: 12

მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში: 5

დაშვების წიაპირობა : სრული ზოგადი გაათლება

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება.

**პროგრამის აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი შეისწავლონ მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესები, საქართველოს ეროვნული სტანდარტისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 11 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 176 საათს, კვირაში 16 აკადემიური საათის დატვირთვით.

სასწავლო პროცესი განხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში . მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-11 კვირას.

**პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:**

- აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტების იდენტიფიცირება და გაფორმება ;
- ბეჭდებისა და შტამბების გამოყენების წესის აღწერა, დოკუმეტების ბლაკის შედგენა ;
- საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების დახასიათება და შედგენა ;
- მმართველობითი (საგანმკარგულებლო) დოკუმენტების გაფორმებისადმი დადგეილი მოთხოვნების გამარტება;
- საგანმკარგულებო დოკუმენტების (ბრძანება, განკარგულება, ოქმი) პროექტების მომზადება;
- მმართველობითი დოკუმენტების რეგისტრაციისა და გასაჯაროების პროცესის უზრუნველყოფა.

# მოკლევადიანი მომზადების პროგრამა- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

**პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:** Conducting the upbringing process in preschool institutions ;

**პროგრამის სახე:** პროფესიული გადამზადება

**განხორციელების ენა:** ქართული

**სფერო:** 01 - განათლება

**კვალიფიკაციის დონე:** მეხუთე

**პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 9

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 25

**მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:** 12

**მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 12

**მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 5

**დაშვების წიაპირობა :** სრული ზოგადი გაათლება

**აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:** გასაუბრება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება

**პროგრამის აღწერა:** სასწავლო პროცესი წარიმართება 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 225 საათს . სასწავლო პროცესი განხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის აკადემიის ბაზაზე . სწავლების განმავლობაში თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში , ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული იქება სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ ქ.ზუგდიდის N 2 -ე საბავშვო -ბაღი; ა(ა)იპ ქ.ზუგდიდის N 10ე საბავშვო-ბაღი; ა(ა)იპ ქ.ზუგდიდის N 16-ე საბავშვო-ბაღი ; მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ჩატარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-9 კვირას,პრაქტიკული დავალების შესრულებით და პროცესზე დაკვირვებით.

**პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:** ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების განსაზღვრა ; საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართულობის მნიშვნელობის განსაზღვრა; კურიკულუმის რაობის გაცნობიერება; დღის განრიგის შემადგენელი კომპონენტების აღწერა და დღის განრიგის შემუშავება; ფიზიკური გარემოს აღწერა და მოკლე და გრძელვადიანი გეგმის შემუშავება; საგანმანათლებლო სტრატეგიების განსაზღვრა და საგანმანათლებლო გარემოს შეფასება.

**პროგრამის მიზანია :** მსმენელების გადამზადება დარგში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში

# მოკლევადიანი მომზადების პროგრამა- ადრეული განვითარების სპეციალისტი

პროგრამის სახელწოდება ინგლისურად: Early Development Specialist
პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება
განხორციელების ენა: ქართული
სფერო: 011 - განათლება
კვალიფიკაციის დონე: მეხუთე
პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: 24
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში: 12
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში: 10
დაშვების წიაპირობა : პროგრამაზე დაიშვება პირი რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შემდეგ სპეციალობებში : ფსიქოლოგია, სპეცილური განათლება, ოკუპაციური თერაპა, ფიზიკური თერაპია, ადრეული პედაგოგიკა , სოციალური მუშაკი. მედიცინის სფეროში უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან ბავშვთა რეაბილიტაციის განვითარების ცენტრში შესაბამისი მიმართულებით ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება.
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება.

**პროგრამის აღწერა** : პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერსებულ პირს , რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შემდეგ სპეციალობებში: ფსიქოლოგია, სპეცილური განათლება, ოკუპაციური თერაპა, ფიზიკური თერაპია, ადრეული პედაგოგიკა, სოციალური მუშაკი. მედიცინის სფეროში უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან ბავშვთა განვითარების ცენტრში შესაბამისი მიმართულებით ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 14 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 350 საათს. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ა(ა)იპ ზუგდიდის მე-15 საბავშვო ბაღი და ბავშვთა განვითარების

ცენტრი ,,ასოციაცია გზამკვლევი". მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება

მე-14 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

**პროგრამის მიზანი** : პროგრამის მიზანია გადაამზადოს პირი, რომელიც შეძლებს 0-7 წლამდე მოტორული და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შეფასებას, მათი შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, მეტყველებითი, კომუნიკაციური , სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

# მოკლევადიანი მომზადების პროგრამა- ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

პროგრამის სახელწოდება ინგლისურად: Occupational Health, Hygiene and Safety in Pre-school Education Institutions

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

განხორციელების ენა: ქართული

სფერო: 011 - განათლება

კვალიფიკაციის დონე: მეხუთე

პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16

მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: 24

მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში: 12

მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში: 10

- დაშვების წიაპირობა :სწავლა შეუძლია ყველა დაინტერსებულ პირს , რომელსაც მინიჭებული აქვს
- ექთნის/ზოგადი პროფილის ექიმის/ექიმი პედიატრის/დიპლომირებული ექიმის კვალიფიკაცია

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება.

**პროგრამის არწერა :** გადამზადების პროგრამაზე „ჯანმრთელობა ,ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ , სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს , რომელსაც მინიჭებული აქვს ექთნის/ზოგადი პროფილის ექიმის/ექიმი პედიატრის/დიპლომირებული ექიმის კვალიფიკაცია. პროგრამის ხანგრძლივობაა 9 სასწავლო კვირა და მოცულობაა 144 საათი. სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან სამედიცინო ცენტრში ,, ნლი“ -ს ბაზაზე, ხელშეკრულების საფუძველზე . მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 სასწავლო კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული
(კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს
შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ სერტიფიკატს .
**პროგრამის მიზაია:** გადაამზადოს პირი, რომელსაც შეეძლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს , ჰიგიენის ძირითადი ნორმების დაცვას ,ჯანსაღი კვების უზრუნველყოფას, პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას და ეკოლოგიის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობების ორგანიზებას.

# მოკლევადიანი მომზადების პროგრამა- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან

**პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:** Working with children with special educational needs ;

**პროგრამის სახე:** პროფესიული გადამზადება

**განხორციელების ენა:** ქართული

**სფერო:** 01 - განათლება

**კვალიფიკაციის დონე:** მეხუთე

**პოგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 10

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 25

**მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:** 15

**მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 15

**მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში:** 5

**დაშვების წიაპირობა :** სრული ზოგადი გაათლება

**აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:** გასაუბრება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება

**პროგრამის აღწერა:** სასწავლო პროცესი წარიმართება 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 250 საათს . სასწავლო პროცესი გახორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის აკადემიის ბაზაზე . სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში , ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული იქება სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება: ა(ა)იპ ქ.ზუგდიდის N 15 -ე საბავშო ბაღი. მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ჩატარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-10 კვირას, პრაქტიკული დავალების შესრულებით და პროცესზე  დაკვირვებით.

**პროგრამის აღწერა:** სასწავლო პროცესი წარიმართება 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 250 საათს . სასწავლო პროცესი გახორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის აკადემიის ბაზაზე . სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში , ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული იქება სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება: ა(ა)იპ ქ.ზუგდიდის N 15 -ე საბავშო ბაღი. მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ჩატარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-10 კვირას, პრაქტიკული დავალების შესრულებით და პროცესზე  დაკვირვებით.

**პროგრამის მიზანია** მსმენელების გადამზადება დარგში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში.

# საბიბლიოთეკო სერვისები

საბიბლიოთეკო ფონდი შეიცავს, როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ რესურსებს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. აქ თქვენ დაგხვდებათ კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც დაგეხმარებათ სასურველი წიგნის, რესურსის მოძიებაში. სასწავლო და სამუშაო მიზნებიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ ასლის გადაღება, პრინტერით და სკანერით  სარგებლობა, ინტერნეტ რესურსების მოძიება და ამობეჭდვა.



## პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს, რომ დაეხმაროს დაინტერესებულ, წარმატებულ სტუდენტებს/მსმენელებს დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში. ამისათვის მუდმივად კავშირი აქვს მათთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. აძლევს მათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, პროექტებში მონაწილეობის საშუალებას.

## დაცვა და უსაფრთხოება

კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის დაცვის მიზნით კოლეჯში გამოყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების სივრცე, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი ინვენტარითა და სამკურნალო საშუალებებით

## სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალურად დაუცველი და ფინანსური პრობლემების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის იმოქმედებს წინასწარ განსაზღვრული საშეღავათო თანხის გადახდის/გადანაწილების პირობები, რომლის განსაზღვრაც მოხდება ინდივიდუალურად, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელებთან გასაუბრების საფუძველზე.

# კომპიუტერული კლასი

- კოლეჯი აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიქით, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო და სამუშაო პროცესში.

# ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები

**2021**

7 0 %

**2022**

80 %

**2023**

80%

# სტუდენტური ცხოვრება

- კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ჩვენი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობისათვის, ამისათვის სისტემატიურად აქვეყნებს ინფორმაციას ვაკანსიებისა და დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ ფეისბუქ-გვერდზე.

- სისტემატიურად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს დამსაქმებლებთან.

- ატარებს საინტერესო და საჭირო ტრენინგებს თემებზე: სამსახურეობრივი გასაუბრებისთვის მომზადება, სივის მომზადება, პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება და სხვა.

- სთავაზობს პარტნიორ ორგანიზაციებს წარმატებული სტუდენტების დასაქმებას .

# კვალიფიკაციის მინიჭებისათვის

2022 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა შუალედურ შეფასებაში, რომელიც წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

დამატებით ინფორმაციას გაეცანით სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

# სტუდენტური ბარათი

https://bankofgeorgia.ge/ka/youth/student-

- პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს, რომლებიც სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არიან რეგისტრირებული
- პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისთვის ბარათის შეკვეთა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან, გადახდის აპარატებიდან. ამავე კატეგორიის ბანკის უკვე არსებულ მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს ბარათი მობილბანკიდან. სხვა დანარჩენ შემთხვევებში ბარათი შეკვეთა შესაძლებელია საქართველოს ბანკის ნებისმიერი ფილიალიდან
- ბარათის შესაკვეთად საჭიროა მხოლოდ გქონდეს სტუდენტის სტატუსი და შენი პირადობის მოწმობა
- სტუდენტური ბარათით გადახდისას იმგზავრებ საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეღავათიანი ტარიფით, ისარგებლებ მრავალფეროვანი შენთვის შექმნილი შეთავაზებებით სხვადასხვა კატეგორიაში: განათლება, გართობა, კვება, შოპინგი

*დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ საქართველოს ბანკის ვებ-გვერდს*

# პროფესიულ სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური სწავლის დასრულებამდე გადაუვადდებათ

*სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თნახმად პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული პროფესიულ სტუდენტს სავალდებულო სამხედრო სამსახური სწავლის დასრულებამდე გადაუვადდებათ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, იმ შემთხვევაში, თუ მას არ უსარგებლია სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით ამ კანონის „გ1“ ან „გ2“ ქვეპუნქტის შესაბამისად; დაზუსტებისათვისგაეცანითკანონს*

https://matsne.gov.ge/ka/document/view/31780?publication=79

*საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის განცხადებით მომართვის საფუძველზე კოლეჯი გასცემს შესაბამის ცნობას*

# სხვა საჭირო ინფორმაცია

*სტუდენტები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით ინფორმაციისათვის დარეკვეთ სოციალური მომსახურების სააგენტოში*
ტელეფონი: 15 05 ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

*განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი*
www.eqe.ge

*განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა*
www. vet.emis.ge

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*
https://mes.gov.ge/

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

**საკონტაქტო ინფორმაცია:**


ზუგდიდი. შ.კიტიას N 9

www.akademiazug.ge

zugdidisakademia@gmail.com

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

577 77 85 16 ; 595 02 35 36


შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორი ნესტან აბსავა

ადმინისტრაციის სამუშაო საათები:
ორშაბათი-შაბათი
09:30 -18:30 სთ

# გისურვებთ წარმატებებს და გელით!